პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი პირველი

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

20 სექტემბერი
სამშაბათი
1918 წელს სექტემბრის 20-ს ინგლისის სამხედრო აგენტებმა სოციალ-გამყიდველებთან და თეთრგვარდიელებთან შეთანხმებით კასპიის გაღმა მიყრუებულ ნაპირზე [illegible] აწამეს და სიცოცხლეს გამოასალმეს
ბაქოს 26 კომუნარი
ამხ. სტეფანე შაუმიანი, ალიოშა ჯაფარიძე აზიზბეკოვი, ფიოლეტოვი და სხვ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა დღეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის დაკვეთა და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალური ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4.

ტელეფონი №

დღიური

— ანტანტა პოლონეთს სამხედრო მასალას უგზავნის საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ გასალაშქრებლად.

— საფრანგეთში მუშათა გაფიცვამ [illegible] მიიღო.

— პროფკავშირებში თავმოყრილ [illegible] მუშათა რიცხვი 1920 წლისათვის 32, 62 მილიონს უდრიდა.

— დანტეს გარდაცვალებიდან 600 წლის აღსანიშნავად მთელს იტალიაში საზეიმო დღესასწაულები გაიმართა.

№ 165 სამშაბათი, 20 სექტემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი სამშაბათი, 20 სექტემბერი. 1921 წ. № 165

ბაქოს კომუნარების ხსოვნას

სამი წლის წინეთ კასპიის ზღვის გაღმა უდაბნოში დასრულდა ბაქოს პროლეტარიატის ტრაგედია: იმპერიალიზმის გასისხლიანებულმა ჯალათებმა დახვრიტეს და ზერელედ ქვიშაში ჩაფლეს 26 ბაქოს კომუნარი. პროლეტარულ რევოლიუციას შეეწირნენ ჩვენი დაუვიწყარი ამხანაგები, ჩვენი მასწავლებლები, მშრომელთათვის თავდადებულნი: სტ. შაუმიანი, ალ. ჯაფარიძე, ვ. ფიოლეტოვი, აზიზბეკოვი და სხ.

იმპერიალისტურ ოსმალეთის და გერმანიის ჯარებით ალყაშემორტყმული ბაქოს პროლეტარიატი დიდხანს აწარმოებდა უთანასწორო ბრძოლას, მოკვეთილი პურს და წყალსაც კი. საბჭოთა ხელისუფლების მოელვარე დროშა დიდხანს ამხნევებდა ბაქოს პროლეტარიატს, რომელიც თავის სახალხო კომისრების ხელმძღვანელობით იარაღით ხელში იგერიებდენ მშრომელთა შეურიგებელ მტრების ურდოებს.

მაგრამ ბრძოლის და გამარჯვების სასწორი ბოლოს მაინც გადიხარა მტრისკენ. სოციალ-გამყიდველებმა ამ მომენტით ისარგებლეს მეორე იმპერიალისტური ძალის მოსაწვევათ. პროლეტარული რევოლიუციის მოღალატეებმა კარგათ იცოდენ, რომ ინგლისის ჯარი ვერც შესძლებდა და არც მოიხდომებდა ბაქოს პროლეტარიატის გულწრფელად დახმარებას, მაგრამ ოღონდ პროლეტარული დიქტატურის დამხობას მოსწრებოდნენ და ინგლისის ჯარებს კი არა, თვით ჯოჯოხეთის ძალებსაც კი მოუხმობდენ.

მათმა ვერაგობამ ნაყოფი გამოიღო. ბაქოს პროლეტარიატის წინათ მწყობრი წრე გაირღვა და ბაქოს კარები უფრო ადრე გაიღო ოსმალეთ-გერმანიის ურდოებს, ვიდრე ინგლისელების საგრძნობი ძალები შემოვიდოდენ.

თუ რა მოუტანა ბაქოს პროლეტარიატს ან ერთმა, ან მეორე იმპერიალისტურმა მხარემ, ეს ყველაზე უკეთ თვით ბაქოს პროლეტარიატმა იცის. მაგრამ მისი წამების, მისი ტრაგედიის უკანასკნელი აქტი კასპიის გაღმა დასრულდა დატყვევებული 26 კომუნარების დახვრეტით. იმპერიალიზმის საკურთხეველზე გაიმართა ეს ჰეკატომბა, მაგრამ სასიცოცხლო წვენი ვერ შემატა იმპერიალიზმს გახრწნილ ტანს. ბაქოს დათრგუნვას ზეიმობდა ჯერ ოსმალეთ-გერმანიის იმპერიალიზმი, შემდეგ იმპერიალიზმი ინგლისისა, ზეიმობდენ ორივე შემთხვევაში ქართველი მენშევიზმის საძაგელი რაინდები, მაგრამ პროლეტარული რევოლიუციის ჩარხის გადატრიალებამ მტვრათ აქცია იმპერიალიზმის ტახტი, როგორც ბაქოში, ისე მთელს ამიერ-კავკასიაში. 26 წამებულ კომუნარის ბრძოლამ ნაყოფი გამოიღო: დღეს საბჭოთა ხელისუფლება გამტკიცებულია იქ, სადაც ისინი იბრძოდენ და სადაც ჰპოვეს ნაადრევი საფლავი. საბჭოთა წყობილება საკუთარი ძეგლია მათ ძვირფას საძმო საფლავზე. საბჭოთა წყობილების კიდევ მეტი განმტკიცება, მისი გატანა აღმოსავლეთით და დასავლეთით—მათი რევოლიუციური ანდერძია. და ამიერ-კავკასიის მშრომელი მასსები არ დაივიწყებენ მათ სახელებთან ერთად ამ ანდერძსაც ენერგიით და ხალისით განაგრძობენ იმ წყობილების გამაგრებას, რომლის ბალავერში მოქცეულია 26 გვამი ბაქოს კომუნარებისა.

ამიერ კავკასიის რკინის გზების 50 წლის იუბილე

ამიერ კავკასიის რკინისგზელები დღესასწაულობენ ჩვენი რკინის გზების 50 წლის იუბილეს. ნახევარი საუკუნე შესრულდა მას შემდეგ, რაც პირველათ გაიხსნა მოძრაობა ფოთი-თბილისის ხაზზე. დაბეჩავებული და შეერთებული მხარის თავის დიდ სამფლობელოზე მიჯაჭვა და აღმოსავლეთისკენ გავლენის გაფართოება—მოსაზრება სტრატეგიული, ამ მხარის უმდიდრეს სიმდიდრეთა გამოყენება ძველი რეჟიმის გასამაგრებლათ—მოსაზრება ეკონომიური, ასეთი იყო მთავარი მიზეზები ამიერ კავკასიის რკინის გზის ხაზის შექმნის. მას შემდეგ რკინის გზები, ეს უმთავრესი ძარღვი მხარის სამეურნეო შემოქმედების, შექმნენ ჩვენი მატერიალური და სულიერი კულტურის ერთ უდიდეს ფაქტორათ. მთელი ამ ხნის განმავლობაში, ხალხის რამდენიმე თაობის დაუღალავი შრომით აშენებული და გამაგრებული, მათი ოფლით მორწყული რკინის გზები, შემდგენდენ ამავე მშრომელი ხალხის მოსისხლე მტრების ბატონობის ერთ ერთ იარაღს, მათი კლასიური და იმპერიალისტური მიზნებისათვის მომართულსა და ამუშავებულს. მაგრამ ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ მშრომელებს გადასცა სახელმწიფო ძალაუფლება და მათ მთელი ნაციონალური სიმდიდრეც. ამავე ოქტომბრის რევოლიუციის გავლენით და მხარეში საბჭოთა რეჟიმის გამარჯვებით, ჩვენი რკინის გზებსაც, ისე როგორც ქვეყნის სხვა სიმდიდრეს, დაეპატრონა იგივე მშრომელი ხალხი და მისი მთავრობა. ეს მოხდა იმპერიალისტური ომითა და ნაციონალურ ბურჟუაზიული პარტიების თარეშით დანგრეულ სამეურნეო ცხოვრების პერიოდში, როდესაც ეს საერთო დარღვევა შეეხო ჩვენი რესპუბლიკების რკინის გზის ტრანსპორტსაც. მისი არსებობის ორმოცდაათი წლის თავი მოხვდა იმ დროს, როდესაც მის აღსადგენათ და ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისათვის შესაფერის სიმაღლეზე დასაყენებლათ სწარმოებს საწრაფო და ენერგიული მობილიზაცია მეტად [illegible] თავის ეკონომიური და პოლიტიკური გაერთიანებისაკენ მიმავალი ამიერ კავკასიის რესპუბლიკების ყველა მატერიალური და ტეხნიკური რესურსების. ჩვენ საერთო სამეურნეო გეგმაში ამ დარგს უდევს განსაკუთრებული ადგილი თავისი მნიშვნელობით. ეს საქმე უნდა მოგვარდეს ახლო მომავალში, როგორათაც არ უნდა დაგვიჯდეს მისი დათავება. და ამის თავდებია ერთსულოვნება ყველა რესპუბლიკების, გაერთიანება რკინის გზების ადმინისტრატიულ-სამეურნეო ორგანოების და, რაც უმთავრესია, გაერთიანება თვით მოძმე რესპუბლიკების რკინის გზელების. ასეთი გაერთიანებული ძალებით, ჩვენი რკინის გზელთა არმია, საბჭოთა ხელისუფლების და გზების ადმინისტრაციის დახმარებით შესძლებს აღადგინოს დანგრეული რკინის გზის ტრანსპორტი და დაამტკიცოს, რომ ორმოცდაათი წლის თავზე მას გამოუჩნდა ღირსეული პატრონი, რომელიც აამოძრავებს მას, მარად დღეს უკვე მშრომელთა კლასიური მიზნების მისაღწევათ, მისი სახელმწიფოს განსამტკიცებლათ.

ქართული პრესა

მემარცხენე სოც. ფედერალისტთა გაზ. „ტრიბუნა"-ს მე 25 ნომერში მოთავსებულია წერილი მენშევიკ ქ. მწვანეყვავილელისა თ. ღლონტისადმი. ამ წერილში მრავალ ბრალდებათა შორის წამოყენებულია ბრალდება იმის შესახებაც, რომ თ. ღლონტი სიყალბეს სჩადის, როცა ქართველ მენშევიკებს სწამებს ბოლშევიკების დამარცხების სურვილს, წადილს და სათანადო მოქმედებას. ქ. მწვანეყვავილელი აგრეთვე უკმაყოფილოა თ. ღლონტით, რადგან ეს უკანასკნელი არ ცდილობს მოუპოვოს ქართველ მენშევიკებს სიტყვის და წერის თავისუფლება.

საპასუხო წერილში თ. ღლონტი სხვათა შორის სწერს:

„მენშევიკურ პარტიას, რომ კარგი წარსული აქვს თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში, ჩვენ ეს არა ერთხელ აღგვინიშნავს, ან რა საჭიროა ამის [illegible], როცა ამ ისტორიულ ფაქტის უარყოფა ისტორიის უდიდეს ფალსიფიკატორსაც არ შეუძლიან. მაგრამ ძველი რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა ეხლა რევოლიუციონერობისათვის საკმაო სრულიად არ გახლავთ. სავინკოვი ცნობილი მებრძოლი გახლდათ, დღეს ის ისეთივე შავრაზმელია, როგორც პურიშკევიჩი, მარკოვი და მილიუკოვი. დღეს მენშევიზმი არსებითად კონტრ-რევოლიუციური ძალაა. რუსეთის რევოლიუცია ჩვენ მიგვაჩნდა და მიგვაჩნია მსოფლიო რევოლიუციის უმთავრეს ძალად, მენშევიზმს კი მიაჩნია რუსეთის რევოლიუცია მსოფლიო რეაქციის ბუდედ. ნუ თუ ყოველივე ეს მწვანეყვავილელმა არ მოისხენება? ჩვენგან საბუთებს მოითხოვს! კაკი წერეთლის ყველა გამოსვლა პარლამენტში არ არის საბუთი? გეგეჭკორის და ალექსეევის კლასიკური ისტორია წერეთლის შესახებ საბუთი არ არის? ნოე ჟორდანიას არჩევანი ევროპის იმპერიალიზმსა და რუსეთის შორის დაბეჭდილი გაზეთებში, სხვადასხვა ფურცლებში და კედლებზე გაკრული—საბუთი არ არის? თუ ყოველივე ეს საბუთი არ არის, ჩვენ აღარ ვიცით რაღაა საბუთი?

ბოლშევიზმის დამარცხება ჩვენ მიგვაჩნია რევოლიუციის დამარცხებად და რუსეთის რევოლიუციის მესვეურებს ისევე მიიყვანენ პარიზის ეხლანდელი ბატონები ეშაფოტთან, როგორც კომუნარები მიჰყავდათ პარიზის ჯალათებს. ამ ხალხთან კი დღეს მენშევიზმი მოკალათებულია თბილათ და იმედიანად. ნუ თუ თქვენ ან ვინმე ფიქრობთ, რომ მენშევიზმის ბატონობის ციტადელი სხვაა და არა ანტანტა? მენშევიზმის პოლიტიკური ანგარიშების განაღდება მხოლოდ ანტანტას შეუძლია, გარეშე ანტანტისა მათ არავითარი ძალა არ აქვთ, ამიტომაა მენშევიზმი მხოლოდ იმის ცდაში და ოცნებობაში, რომ აილაგმოს ბოლშევიზმი. აქ პოლიტიკაა, აქ ბრძოლაა, აქ მიმართულებაა და ამ მიმართულებას სურს ანტანტის გამარჯვება, იქნება ეს უშუალოთ თუ სხვა ძალის გამოყენებით. ჩვენ მიგვაჩნია მენშევიზმი უდიდეს რეაქციონურ ძალად და იგი უნდა გადაშენდეს. მენშევიზმის ამ ლიკვიდაციას ჩვენი პარტია დღეიდან არ შეუდგომია, ეხლა მენშევიზმი უფრო გამოაშკარავებული სდგას ჩვენს წინაშე ვიდრე ოდესმე.

მწვანეყვავილელს არ სურს ბოლშევიკების მარცხი რუსეთში. ჩამოიხსენით ბატონო მენშევიკობის იარლიკი და ეს სარწმუნო გახდება, ყოველ შემთხვევაში ასეთი მენშევიკი არ არსებობს პოლიტიკაში, მწერლობაში, არსად, ასეთ მენშევიკისათვის მწვანეყვავილოვან კუნძულს ვერ შევქმნით"...

„ბატონო მწვანეყვავილელო ნუ თუ თქვენ 1921 წლის თებერვლის შემდეგ გაზეთებში მხოლოდ საინსინუაციო მასალას დაეძებთ, არ ხედავთ ამ სახალხო მთავარი საკითხების გარშემო გაჩაღებულ ჩვენს სასტიკ ბრძოლას და ჩვენგან მოითხოვთ ვიბრძოლოთ მხოლოდ იმისათვის, რომ მენშევიკებმა გაზეთის გამოცემის უფლება მიიღონ! ეს საქმე შეიძლება თავისთავადაც მოგვარდეს, მენშევიკური იდეებით ხალხის მოწამვლა ჩვენ საზოგადო მოღვაწეობად არ მიგვაჩნია, რომ გვერდზე გადავდვათ მთავარი ეროვნული საკითხები და მენშევიკებზე ვიმუშაოთ. ნუ დარდობთ, მენშევიკებს მშვენიერი ჟურნალი და ფურცლები აქვთ „თავისუფალ საქართველო"-ს სახით, ბევრსაც სწერენ იგე სწერენ, როგორც ეს ძლიან აამებს თანამედროვე რეაქციას და ამისათვის ეტყობათ დიდ კრიზისს არც ქაღალდისას გრძნობენ, არც მელნისას, არც ინფორმაციისას.

წითელ რესპუბლიკებში

რ უ ს ე თ ი

კოოპერატივების მუშაობის შედეგები.

მოსკოვი. 16 სექტემბერი: (რადიო) კოოპერატივების მუშაობა სახელმწიფო საქონლის გადაცვლის სფეროში 1 სექტემბრისათვის გამოიხატება შემდეგ მრგვალ ციფრებში: პური საქონლის საკვები და ზეთის თესლი—59 1000 ფ., რძის პროდუქტები—14 000 ფ., ცოცხალი რძიანი საქონელი—4000, დაკლულია 153 000 ფუთ.

ცენტროკავშირის ფინანსიური პოლიტიკა.

მოსკოვი. 16 სექტემბერი, (რადიო) ცენტროკავშირის მთელი სამეურნეო პოლიტიკა სექტემბრის თვიდან უნდა მოეწყოს უდეფიციტო ბიუჯეტის პრინციპის მიხედვით. ცენტროკავშირის ყველა ორგანოებმა ახალი პრინციპი უნდა მიიღონ მხედველობაში ყველა ხარჯების გათვალისწინების დროს.

კომინტერნის მესამე კონგრესი

2 ივლისი, დილის სხდომა.

სხდომა იხსნება ამხ. ბერლისტერის (ჩრდილო ამიერ. შეერთ. შტატებ.) სიტყვით. იმის აზრით აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს არა-ლეგალური ორგანიზაცია, რომელმაც ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს ლეგალურ ორგანიზაციას, როგორც თავის იარაღს. ამერიკაში მძვინვარებს თეთრი ტერორი არა ნაკლებ, ვიდრე პოლონეთში. კომუნისტური გაზეთის არა თუ გამოცემისათვის, არამედ გავრცელებისათვისაც ათი წლის ციხე მოელის მუშას. იგი წინადადებას იძლევა რამოდენიმე ტეხნიკური ცვლილებების შეტანის შესახებ ტეზისებში და აღნიშნავს საერთოდ დიდი ყურადღება მიექცეს ინგლისურ გამოცემების ტეხნიკურ მხარეს, რომელნიც რუსულს და გერმანულს გამოცემებს ვერ შეედრებიან. შემდეგ ამხ. ბერლისტერი აძლევს ცნობას იმის შესახებ, რომ კომუნისტურ ორგანიზაციების ცალკე უჯრედები ამას წინად მომხდარ ყრილობაზე გაერთიანდნენ ერთ მტკიცე და ორგანიულ პარტიაში. ტეზისების გარჩევისა და მათ კრიტიკული შეფასების შემდეგ, მე—ათავებს ამხ. ბერლისტერი,—ვაცხადებ, რომ ისინი საერთოდ და მთლიანად შეეფერებიან ამერიკულ პირობებს, და ჩვენ ვეცდებით გავატაროთ ეს ტეზისები ცხოვრებაში.

შემდეგ სიტყვას იღებს ამხ. ფრისლანდი (გერმ. კომ. პარტ. ოპოზ.), რომელიც ოქმებიდან ამოღებული ციტატებით ამტკიცებს, რომ ოპოზიციის საყვედური („ლევიტელებიდან *)"), რომ ისინი მარტის აჯანყებამდი იდგნენ „პუტშიზმის" (უმნიშვნელო უმცირესობის აჯანყების) თვალსაზრისზე, არ არის მართალი. პირიქით, სახელდობრ მალცანი იყო დაუყონებლივ გამოსვლის მომხრე იმ დროს, როცა ის, ფრისლანდი, აუცილებელ საჭიროებად სთვლიდა ფართე მასსების მომზადებას გამოსვლისათვის, არ არის მართალი ცეტკინის შეხედულება, რომ პარტია მარტის შემდეგ დასუსტდა. პირიქით „იგი გამაგრდა". „წითელ დროშა"-ს რომელსაც იანვარში ჰყავდა 38.000 ხელისმომწერი, მაისში უკვე 55.000 ხელისმომწერი ჰყავდა. ბერლინში პარტიის წევრთა რიცხვი არ შემცირებულა. თითქმის ისეთ ადგილებში, როგორიც მანსფელდტია, სადაც [illegible] ბრძოლა, სადაც მუშებს ათეულებით ხვრეტდნენ, ორგანიზაცია მაგრდება და იზრდება. ბერლინში რკინისგზელების არჩევნებზე ჩვენ მივიღეთ მხოლოდ 71 ხმით ნაკლები, ვიდრე დამოუკიდებლებმა და შეიდემანელებმა ერთად მიიღეს. მიუნხენის მუშების თანაგრძნობა იმდენად იყო ჩვენ მხარეზე, რომ დამოუკიდებლებმა მხოლოდ სხვა ორგანიზაციებთან ბლოკით გადაირჩინეს თავი. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ყველა იმ ამხანაგებმა, რომელნიც განსაკუთრებით მოსკოვში ჩამოსვლის დროს ჩვენს მერყეობას, გამოარკვიონ თავიანთი ოპოზიცია ნათლად არა მარტო სიტყვებით, არამედ საქმითაც; არა ტეზისების და პირობების მიღებით, არამედ აქტიურად ბრძოლის გაჩაღებით. შემდეგ ის ეხება ამხ. ლენინის შენიშვნას იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს კომუნისტურ პარტიების მიერ მუშათა კლასის უმრავლესობის მიზიდვას და განაგრძობს: რასაკვირველია, იმდენად გულუბრყვილო არავინ არის, რომ საწინააღმდეგო ამტკიცოს, მაგრამ საკითხი იმაშია, როგორ მოიზიდოს მან ეს უმრავლესობა: და აქ ცხადია, თუ ჩვენ პარტიას უნდა პროლეტარიატის უმრავლესობის მიზიდვა, მან აშკარად უნდა დაანახოს ყველას, რომ იგი მზად არის გამოიყენოს ყოველივე მდგომარეობა იმისათვის, რომ მთელი პროლეტარიატის ინტერესების დასაცავად გუშაგად დადგეს.

ბრანდი (პოლონეთი). პოლონეთის დელეგაცია მხარს უჭერს იმ ტენდენციებს, რომელნიც გატარებულნი არიან სამი დელეგაციის მიერ ტეზისებში შეტანილ შესწორებებში. ჩვენ გვინდა ტეზისებში გვქონდეს დასაყრდენი პარტიაში ოპორტუნისტურ ტენდენციებთან ბრძოლის დროს. ამხ. ლენინი ამბობდა, რომ ჩვენ შარშან ვიბრძოდით ყველა ოპორტუნისტურ ელემენტების წინააღმდეგ, რომელთაგან პარტია გავათავისუფლეთ, და ეხლა საჭიროა დავიცვათ პარტიები მემარცხენეობის საფრთხისაგან. ჩვენ ვცნობთ, ამბობს ამხ. ბრანდი,—რომ ეს შესწორებები არ წარმოადგენენ „პუტშიზმისაკენ" გადახრას, არამედ ლაპარაკობენ მხოლოდ იმაზე, რომ თითქმის ძლიერ პატარა პარტიებიც პროპაგანდიდან უნდა გადავიდნენ მოქმედებაზე. ტეზისებში არის მთელი რიგი ადგილებისა, რომელსაც შეუძლია მისცეს ყველა მასიურ პარტიაში არსებულ ოპორტუნისტურ ელემენტებს, რომელნიც ბრძოლას აცილებენ ყოველთვის, საშუალება გამოიყენონ ისინი ჩვენს წინააღმდეგ.

ამხ. ლენინს გადაჭარბებულად ეშინია „პუტშიზმისა". რუსეთის დელეგაციამ დახატა საშინელი ეშმაკი და ეხლა იბრძვის მის წინააღმდეგ. ტეზისში არის ადგილები, სადაც განსაკუთრებითი ყურადღება აქვს მიქცეული სიფრთხილის აუცილებლობას. პარტიები ყოველ ასეთ შემთხვევაში ტეზისების დაუხმარებლად თვითონ ფრთხილად ასწონიან საქმის მდგომარეობას, ყველა [illegible] და სიძნელეთა გადაჭარბებანი მოგვცემენ ჩვენ სერატებს, ლევებს და სხვა ოპორტუნისტებს.

ნეიმანი (გ. კ. პ. ს.) ემყარება რაღაც ოქმებს, რომელშიაც ტალჰეიმერი უწოდებს მარტის დღეებს შეცდომას, თუმცა სცნობდა პროლეტარიატის რევოლიუციონურ გამოსვლის აუცილებლობას. მათი პოზიციის გაურკვევლობა კიდევ გრძელდება საზოგადო [illegible], თუმცა მოსკოვში მათი ზოგიერთი შეცდომები გაჰქრა. როზა ლიუქსემბურგი ამბობდა, რომ პროლეტარიატის ყოველი მოქმედება არის ნაბიჯი. დიახ, მარტის გამოსვლა საერთოდ წარმოადგენდა ნაბიჯს წინ, მაგრამ პარტიისათვის იმ მომენტში იყო მავნებელი.

ამხ. ნეიმანი მოუწოდებს გერმანიის კომუნისტური პარტიის ოპოზიციას იცნოს თავის შეცდომები ისე, როგორც იმ თემა მოსკოვში იცნეს თავიანთი შეცდომა, რომ გერმანიაში დაბრუნების შემდეგ ერთი ფრონტით იბრძოლონ პროლეტარიატის დიქტატურისათვის; და თუ აქ ვინმე განაცხადებს, რომ ის, ნეიმანი, აქტიური ბრძოლის წინააღმდეგია, ის ხელის შემშლელი იქნება. მუშათა კლასის მდგომარეობა გერმანიაში დღითიდღე უფრო და უფრო მძიმდება როდესაც კაპიტალისტებს უნდათ შეამცირონ სამუშაო ქირა და გაადიდონ სამუშაო დღე, ჩვენ ვამბობთ ამ შემთხვევაში, რომ უნდა ვისარგებლოთ ყოველივე შესაძლებლობით, პროფკავშირებითაც და პარტიული ორგანიზაციებითაც, რათა მოსალოდნელი უბედურება თავიდან ავიცილოთ. ეს არ არის სრულებით რეფორმიზმი, როგორც ფიქრობს ამხ. მასლოვი, რომლის აზრით ბრძოლის ამ მეთოდებს კი არ აქვს არავითარი ფასი, არამედ მხოლოდ აჯანყებებს. ჩვენ გვიხარია, რომ ამხ. ტროცკის, ზინოვიევს, რადეკის მოხსენებებმა და ლენინის სიტყვამ მოგვცა ჩვენ ბევრი ძვირფასი სასწავლებელი მასალა; მე ვამბობ, რომ ამხ. რადეკს თავის მოხსენება წაეკითხა ცენტრალურ კომიტეტის 17 მარტის სხდომაზე, ჩვენ პაულ ლევის ბროშურა არ გვექნებოდა. (ტაში).

შემდეგ გამოდის ამხანაგი მიუცენბერგი (გ. ახ. კ. კ), რომელიც მოითხოვს რუსულ ტეზისების შეთანხმებას გერმანიის პირობებთან და აღნიშნავს, რომ კონგრესზე ძლიერ სასტიკად მოექცნენ მემარცხენეებს, მაშინ როდესაც მემარჯვენეების მიმართ ლმობიერება გამოიჩინეს. იმის აზრით, მემარცხენეთა სისულელემ უფრო ცოტა ავნო საქმეს, ვიდრე მემარჯვენეთა აგიტაციამ. საჭიროა პარტიულ დადგენილების ცხოვრებაში გატარება. პარტია უნდა იყოს მასიური, მაგრამ ამავე დროს რევოლიუციონური. აკრიტიკებს საფრანგეთის პარტიის უენერგიო მოქმედებას მობილიზაციის დროს და შემდეგ კიდევ ამხ. მიუნცენბერგი რამდენიმე შენიშვნებს აკეთებს ამხ. ლენინის სიტყვის გამო და ხაზს უსვამს საშიშროებას მარჯვნიდან.

ჰუნგრეთის კომუნისტური პარტიის უმცირესობის სახელით გამოდის ამხ. [illegible] ის ამბობს, რომ ისინი ერთიანად იზიარებენ რუსეთის დელეგაციის ტეზისებს, მაგრამ ფიქრობს, რომ ამ ტეზისებში არის ზოგიერთი ადგილები, რომელნიც გამოყენებულნი იქნებიან ოპორტუნისტების მიერ თავიანთი პოზიციის გასამაგრებლად. მარტის ამბების შესახებ ის აღნიშნავს, რომ ამ დიდ მოძრაობაში ხედავენ უბრალო „პუტჩს" მხოლოდ იმიტომ, რომ იმას მიაწერეს შეტევის განსაკუთრებული თეორია. ასეთმა თეორიულმა ზედნაშენებმა ხელი შეუწყვეს მარტის გამოსვლის ძირითადი ამოცანის დაჩრდილვას. როგორი იყო ამ გამოსვლის ამოცანები, რამდენადაც ისინი გერმანიის განსაკუთრებული პირობებიდან გამომდინარეობდნენ. უპირველეს ყოვლისა, გერმანიაში იყო დიდი კომუნისტური პარტია, უფრო ძლიერი, ვიდრე სხვა ევროპიულ ქვეყნებში, და ეს გარემოება მოითხოვდა მისგან განსაკუთრებულ ვალდებულებს. მეორეს მხრივ იქ არის მუშური ორგანიზაციები, სადაც კონტრ-რევოლიუციონურ ბელადები გავლენით სარგებლობენ. ჯერ კიდევ რევოლიუციამდე დაიწყო მუშათა პარტიების გარკვეული დიფერენციაცია, რომელიც გაძლიერდა რევოლიუციის დროს; იმან გამოიწვია არა მარტო კომუნისტური პარტიის აქტივობა, არამედ გერმანიის სოციალ-დემოკრატიულსა და დამოუკიდებელ სოციალისტებისაც. ამ გვარად, კომუნისტურ პარტიას უხდება საქმე იქონიოს არა უფერულ პოლიტიკურ მასსასთან, ვინაიდან მის წინაშე არის არა მარტო პროფკავშირები, არამედ აგრეთვე კონტრ-რევოლიუციონური მუშური ორგანიზაციები გარკვეული პოლიტიკური პროგრამით. თუ პარტიას უნდა ჩამოაცილოს ეს მასსები მათ კონტრ-რევოლიუციონურ ბელადებს, ეს არაფრის გზით არ განხორციელდება ნაწილობრივი გამოსვლებით, ვინაიდან ამ უკანასკნელთ არ ძალუძთ დაისახონ თავიანთ მიზნათ ბურჟუაზიის განიარაღება და პროლეტარიატის შეიარაღება. ამ ლოზუნგის წამოყენება შეიძლება მხოლოდ ბრძოლის დასასრულს; ამ ნაწილობრივ გამოსვლების დროს უნდა იქნეს წამოყენებული ლოზუნგები, რომელთაც პირველ რიგში ექნება დამოკიდებულება პროლეტარიატის ყოველდღიურ სასიცოცხლო საჭიროებებთან. ხელისუფლებისათვის უშუალო ბრძოლის დიდი შეცდომა სახელდობრ იმაში მდგომარეობდა, რომ თვით გამოსვლის დასაწყისში იყო წამოყენებული ლოზუნგები, რომელთა განხორციელება შეიძლებოდა მხოლოდ მის დასასრულს.

ამის მიზეზი არის ის, რომ პარტიის ხელმძღვანელთა ნაწილი იდგა ყალბ ნიადაგზე.

ამხ. ლუკაჩის შემდეგ გამოდის ამხ. ტალჰეიმერი, რომელიც ფაქტების მთელი რიგით ამტკიცებს, რომ მარტის ბრძოლებიდან პარტია გამოვიდა გამაგრებული. ბერლინში არჩევნების დროს კომპარტიამ შეკრიბა თითქმის იმდენი ხმები, რამდენიც დამოუკიდებლებმა და შეიდემანელებმა ერთად; სხვა ადგილებში სოციალისტებმა გაიმარჯვეს მხოლოდ ბლოკის საშუალებით. უმუშევართა მოძრაობა გერმანიაში მიმდინარეობდა გერმანიის კომუნისტური პარტიის ოპოზიციის უშუალო ხელმძღვანელობით. ამხ. ტალჰეიმერი გადაჭრით უარს ყოფს ამხ. ნეიმანის გამოცხადებას. ამხ. ლენინის სიტყვის შესახებ ის ამბობს, რომ ლენინმა დაუშვა ორი შეცდომა იმ დამატებების კრიტიკის დროს, რომელიც შეიტანა გერმანიის კომუნისტურ პარტიის ოპოზიციამ. არსებითად ისინიც ეთანხმება რუსეთის დელეგაციის ტეზისებს, მაგრამ ის არ იზიარებს იმ აზრს, რომ მემარჯვენე ელემენტების საშიშროება პარტიაში გათავდა და ფიქრობს, რომ კიდევ მოსალოდნელია მათთან დიდი ბრძოლა.

---

*) ყოფილი კომუნისტის, ლევის, მომხრეები.

1935
65
1870

ნაციონალური საკითხი ჩვენში

III

ბრძოლა ეროვნული და კლასობრივი.

როგორც წინა განმარტებიდან დავინახეთ, კაცთა საზოგადოებას თემს, გვარს, ტომს, მოდგმას და ძველი ქვეყნის სახელმწიფოს—პირველ ეპოქაში აკავშირებს „სისხლით ნათესაობა", ხოლო შემდეგ ეპოქაში როცა ეს ტომ გვარები და ხალხები ერთმანეთში ითქვიფებიან, როცა სხვა და სხვა გვართა, ტომთა და მოდგმათა ასიმილაცია ხდება, საზოგადოების დამაკავშირებელი სისხლით ნათესაობა კი არ არის, არამედ ეროვნობა; საზოგადოების ერთიანობა, მთლიანობა გვაროვნობით, „სისხლით ნათესაობით" კი არ გამოიხატება, არამედ „ეროვნებით": ერთ სახელმწიფოს ერთი ერი ასულდგმულებს, ერთი ერი განაგებს. ძველ ქვეყანაში, მაგალითათ, ძველი რომის იმპერიას რომაელები განაგებდნენ, თუმცა თვით რომაელები მრავალ ტომ გვარებისგან იყვნენ შემდგარნი და მათ სახელმწიფოში მრავალი სხვა და სხვა ხალხი ითვლებოდა, რომელთაც ისინი ყველას ერთი სახელით „ბარბაროსებ"-ათ ნათლავდენ. იგივე განმეორდა ახალ ქვეყნებშიაც ევროპაში, სადაც მთელი დედამიწის მფლობელი ინგლისი, რომლის სამფლობელოში მრავალი ერი და ხალხი შედის, თავის საფლობელოს „დიდ ბრიტანეთს" უწოდებს, ე. ი. ინგლისის სახელმწიფოს ბატონ-პატრონათ ბრიტანეს თვლის და არა სხვა რომელიმე ერს. თითქო იგივე უნდა ვთქვათ, როგორც ძველს, ისე ახალ რუსეთზე, რომლის დედა ერი ველიკოროსია, ე. ი. რუსი და რომლის სახელი ეწოდება არა მარტო მისი მეფეების იმპერიას, არამედ დღევანდელ მისი მუშების და გლეხების რესპუბლიკასაც.

ყველაფერი ეს ისტორიული ფაქტია, მაგრამ როცა კაცთა საზოგადოების განვითარებას ისტორიული თვალსაზრისით განვიხილავთ, დავინახავთ უფრო მეტ მნიშვნელოვანს, მეორე უღრმეს ფაქტს, რომელიც შეადგენს იმ ისტორიულ ბერკეტს, [illegible], რომლითაც კაცთა საზოგადოება მიიწევს წინ, სულ წინ.

საქმე იმაშია, რომ სწორეთ იმ დროიდან, როცა ეკონომიური წარმატების მეოხებით საზოგადოება ერთ სახელმწიფოში ერთ ერათ გაერთიანდა, აქედან დაიწყო მისი შემადგენლობის დიფერენციაციის პროცესიც: იგი დანაწილდა კლასებათ. პირველ ხანებში ეროვნულ სახელმწიფოში ვარჩევთ [illegible] მდიდარს და ღარიბს, მამათ მთავარს და ხალხს, „ბერს და ერს", შემდეგში, როცა ნატურალური წარმოების ადგილს სულ უფრო და უფრო საქონლის მასიური წარმოება იკავებს, როცა კაპიტალის კონცენტრაცია იწყება და საზოგადოების უფრო და უფრო მეტი ნაწილი პროლეტარდება, მაშინ საზოგადოებაში ჩნდებიან კლასები, რომელთა ინტერესები ერთიმეორისას დიამეტრალურათ ეწინააღმდეგება და აქედან ჩნდება კლასობრივი ანტაგონიზმი, კლასობრივი ბრძოლა.

წინეთ თუ სახელმწიფო ერთი ერის მეთაურობით და ხელმძღვანელობით ერთსულოვნათ და წარმატებით ებრძოდა უცხო სახელმწიფოებს გარეთ, ხოლო შინ მორჩილებულ ერებს, ახლა ეს ერთსულოვნება, ერთიანობა დაირღვა კლასობრივი შინაური ბრძოლით.

ახლა თვითეული ერი ასეთ სახელმწიფოში, როგორც „მპყრობელი", ისე „დაპყრობილი", როგორც სახელმწიფოს ბატონ-პატრონი, ისე მისი მონა მორჩილი, როგორც დამჩაგვრელი, ისე დაჩაგრული დანაწილდა კლასებად და სახელმწიფოს სათავეში ჩადგა არა ერთიანი ერის წარმომადგენელი ჯგუფი, მთავრობა, არამედ გაბატონებული კლასის „კომიტეტი". აქედან სახელმწიფოს [illegible] ეს გაბატონებული კლასის „კომიტეტი" ანუ მთავრობა, მაგრამ არა კლასის სახელით, არამედ ისევ წინანდელსავით ერის სახელით, ვინაიდან მან იცის, რომ ერი, ეროვნება საზოგადოების გამაერთიანებელია, მისი ერთსულოვნების შემოქმედია, კლასი კი პირიქით ამ ერთიანობის და ერთსულოვნების დამრღვევი და გამაქრობელია.

(აი რატომაა, რომ ყველა დროის და სახელმწიფოს მთავრობები ყოველთვის ერის და ხალხის და არა კლასის სახელით გამოდიოდენ და გამოდიან თავიანთი მტრების წინააღმდეგ)!

ამნაირათ „ეროვნულ მოძრაობასთან", ეროვნულ ბრძოლასთან, ეროვნულ საკითხთან ერთად, როგორც ხედავთ, იმავე ეკონომიურმა წარმატებამ, წარმოების წესების შეცვლამ უფრო ძლიერი, საფუძვლიანი და ძირითადი საზოგადოებრივი ბრძოლა გააჩაღა, უფრო მეტ მნიშვნელოვანი მოძრაობა წარმოშვა, რომელსაც ისტორიულათ კლასობრივი ბრძოლა, „მუშათა მოძრაობა" ეწოდება და რომელმაც „ეროვნული მოძრაობა" ერთიანათ დაჩრდილა, უკანა რიგში ჩაყენა.

ძველი საზოგადოების, ძველი ცივილიზაციის ბედის გადამწყვეტიც კლასობრივი ბრძოლა იყო და არა ერთა შორის განწყობილება დამოკიდებულება.

ისტორია გვასწავლის, რომ ძველი მონათ მფლობელი საზოგადოება რომის მაღალი ცივილიზაციის შემდეგი განვითარება, წინმსვლელობა იმიტომ შეწყდა, რომ რომის პატრიციების ძლევამოსილი იმპერია იმით დაეცა და დაპყრობილ იქნა „ბარბაროსების" მიერ, რომ მან ვერ დასძლია და ვერც მოარიგა შინაგანი კლასობრივი წინააღმდეგობა, ვერ გადასჭრა მონათა საკითხი და ამ კლასობრივმა წინააღმდეგობამ, იმპერიის შინაური ძალების მისდამი მტრულმა განწყობილებამ საშუალება მისცა ევროპის მაშინდელ უკულტურო ხალხებს გაენადგურებინათ ის და მის ნანგრევებზე აეგოთ გაცილებით მდაბალი წყობილება ფეოდალიზმი. ეს იყო კაცთა მაღალი საზოგადოების დამცირება—უკან სვლა, დეგრადაცია.

მაგრამ ახალ ისტორიაში, ახალი საზოგადოების ბედის გადაწყვეტაში იგივე კლასობრივი ბრძოლა ღებულობს სხვა ხასიათს და მისი როლი ისტორიულათ მეტად მაღალ მიზანდასახულების ხდება. კლასობრივი ბრძოლის ეს მთელი როლი მარქსმა შემდეგი დებულებით გამოხატა: „საზოგადოების ისტორია საერთოთ კლასთა შორის ბრძოლის ისტორიაა".

ფეოდალიზმის წიაღში წარმოიშვა ორი ახალი კლასი: ბურჟუაზია და პროლეტარიატი, და აი განათლებული კაცობრიობის ისტორია ამ ორ კლასს შორის ბრძოლის ისტორიაა.

მაგრამ ვიდრე ისინი თავისუფლათ ერთი მეორეს დაუპირდაპირდებოდენ, როგორც ისტორიული ძალები და საზოგადოების ბედის გადამწყვეტი მათ შორის ბრძოლა გახდებოდა, სანამ საჭირო შეიქნა, რომ მათ საერთო ძალით ხელი ხელ ჩაკიდებულთ თავადაზნაურობის და მათი მეფეების ძლიერება დაემხოთ.

ეს გადამწყვეტი ისტორიული ბრძოლები, როგორც ვიცით დაიწყო „დიდი ბრიტანეთის" ერმა 1649 წლიდან და დაასრულა მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში საფრანგეთის ერმა. ეს დიდი რევოლიუციები, რომლებიც გამოხატავდენ ევროპის საზოგადოებაში ახლათ აღორძინებულ კლასების—ბურჟუაზიის და პროლეტარიატის—საერთო ბრძოლას ძველი ფეოდალური წოდების წინააღმდეგ, ატარებდენ კიდევ ერთიანი ეროვნულ სახეს: მათი ლოზუნგები უფრო ეროვნული იყო და არა კლასობრივი. საფრანგეთის „დიდი რევოლიუციის" განსაცდელის ჟამს, რევოლიუციური ხალხის ლოზუნგი იყო: „სამშობლო განსაცდელშია" და მისი მაღალი რევოლიუციური ჰანგი—მარსელიოზა—მაღალ პატრიოტულია.

რევოლიუციის ამ ეროვნულ ელფერს მოწმობს ის გარემოებაც, რომ ნაპოლეონს უცხო სახელმწიფოები ებრძოდნენ, როგორც საფრანგეთის ერის ბოროტ სულს და არა ისე, როგორც საფრანგეთის მარტო ბურჟუაზიის სამხედრო ძალების მთავარ სარდალს.

ნაპოლეონის ომებით დასრულდა ეროვნული დროშით ბრძოლა ევროპის დიდ სახელმწიფოებს შორის და მის შემდეგ იწყება კლასობრივი ბრძოლა უფრო აშკარა ფორმით, თუმცა სახელმწიფოთა მთავრობები, ესე იგი ბურჟუაზიული კლასის „კომიტეტები" კვლავ განაგრძობენ ერის სახელით გამოსვლას და არა კლასის. და ამ ბრძოლის კლასობრივი ხასიათი იმდენათ უფრო აშკარავდებოდა, რამდენადაც ეს ორი კლასი—ბურჟუაზია და პროლეტარიატი—საერთო ბრძოლაზე ხელს იღებდა და ერთიმეორის საწინააღმდეგო ბრძოლაში სულ უფრო და უფრო ებმოდა. ამ აშკარა კლასობრივმა ბრძოლამ თავი იჩინა და თავისი გარკვეული, წმინდა კლასობრივი სახე მიიღო 1870 წ. საფრანგეთ-გერმანიის ომის დასასრულს.

აქ უკვე ნათელი შეიქნა, რომ საფრანგეთისა და გერმანიის ბურჟუაზია თავთავიანთ შინაურ მოწინააღმდეგებს, მუშებს უფრო პირდაპირ და სასტიკათ ებრძვიან, ვიდრე ერთიმეორეს. კიდევ მეტი და უარესი: ისინი მუშების წინააღმდეგ ერთიმეორის მოკავშირეა და მზათ არიან საერთო ძალღონით მუშების წინააღმდეგობა მათივე სისხლში ჩაახრჩონ. „პარიზის კომუნის" ისტორია ნათლათ მოწმობს ამ აზრს და ეს ყველასათვის ცნობილი უნდა იყოს დღეს.

აქედან ვხედავთ, ნათლად ვრწმუნდებით, რომ ეროვნული ბრძოლა ეროვნული ფაქტორი, როგორც ბრძოლის სტიმული მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევრიდან უკვე დრომოჭმულია და მამოძრავებელ-მაცოცხლებელი ძალა მხოლოთ წმინდა კლასობრივი ბრძოლაა.

1871 წელს „პარიზის კომუნარებმა" პროლეტარიატის კომუნისტური დროშით ხელში და არა ეროვნული დროშით, თავგანწირულათ იცავდენ საფრანგეთის ერის დედა ქალაქს, პარიჟს, საფრანგეთის ერის სახელით. ისინი შეიქმნენ ერთადერთი მებრძოლნი უცხოელების, გერმანელ ერის ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მათი მამოძრავებელი იყო ეროვნული გრძნობა, ეროვნება და „სამშობლოს სიყვარული". არა, სრულიადაც არა! ისინი გამსჭვალულნი იყვნენ მაღალი კლასობრივი შურის ძიებით, კლასობრივი მძულვარებით ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით კიდევ უფრო მაღალი კლასობრივი იდეალის, კომუნისტური წყობილების სიყვარულით.

დამხობა, განადგურება ბურჟუაზიული წყობილების და მის ნანგრევებზე კომუნიზმის აგება, აი რა იტაცებდა, რა აღფრთოვანებდა მათ, რისთვის სწირავდა თავს პარიჟის 70,000 კომუნარი!!

პარიჟის კომუნამ ისტორიაში ამ მხრითაც სამაგალითო გაკვეთილი მოგვცა.

აქ წარმოდგენილია, როგორც ეროვნული, ისე კლასობრივი მომენტი.

საფრანგეთს თავს ესხმიან პრუსიელები, რომელთაც გადაწყვეტილი აქვთ საფრანგეთის დედა-ქალაქის, ერის სულის განადგურება იარაღით და შიმშილით მისი დამორჩილება, დამონება.

ამ ეროვნული განსაცდელის თავიდან ასაცილებლათ საფრანგეთის ბურჟუაზიულმა მთავრობამ ვერ შესძლო ერის ყველა ძალების შემოკრება მას აუჯანყდნენ შინ პარიზის მუშები. აქედან მას ასეთი დილემა დაუდგა წინ: ან დაემორჩილოს შინაურ მოწინააღმდეგეს, შეურიგდეს მას და ასე მისი მეთაურობით შეებრძოლოს უცხო, გარეშე მტერს, ანდა ამის წინააღმდეგ შეუთანხმდეს ამ უცხო ერის ძალებს და მათთან ერთად შეებრძოლოს საკუთარ ერის, „თავის საყვარელ მამულიშვილებს", პარიზის მუშებს.

საფრანგეთის ბურჟუაზიამ ცხადია არჩია კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე დგომა და მან პარიზის მუშების წინააღმდეგ უღალატა „საყვარელ სამშობლოს", საფრანგეთს და თავისივე დედა ქალაქში თვითონვე შემოუძღვა გამხეცებულ უცხოელ მტერს, პრუსიელებს.

როგორ მოიქცნენ მუშები?

მუშებიც იმავე კლასობრივ ბრძოლის პოზიციაზე დადგნენ, მხოლოთ უყოყმანოთ, მტკიცეთ! მათ ერთი შეტევით გარეკეს საერთო დედა ქალაქიდან, პარიჟიდან ბურჟუები, მყვლეფელები, მექრთამეები და ბიუროკრატები, აიხსეს თოფ-იარაღი და თვითონვე ჩადგნენ კომუნარების სამშობლო ქალაქის, პარიჟის დამცველთა რიგებში. სისხლიანი ბარიკადებით შეებრძნენ იგი და ორთავე ნახევარს გაუწყვეტელი ბრძოლით, სისხლის დენით და ჯოჯოხეთური ტანჯვით იცავდენ მას უცხო ლეგიონების შემოსევისაგან. ცხადია ვეღარ გაუძლეს მოზღვავებულ მტერს და ბრძოლის ველზე გმირულათ დაეცნენ. ბურჟუაზია შემოდის მტერთან ერთად პარიჟში და იპყრობს მას, როგორც მტრის ქალაქს.

ამნაირათ საფრანგეთის ერის ერთი ნაწილი, ერთი კლასი, ბურჟუაზია იარაღით იპყრობს, იმორჩილებს იმავე ერის მეორე ნაწილს, მეორე კლასს: ბურჟუაზიამ პირველმა მისცა მაგალითი იარაღით დაპყრობის და დათრგუნვის მუშათა კლასს და ამ სახით მან მისცა პირველი გაკვეთილი, თუ როგორი ხასიათით უნდა აწარმოვოს კლასმა სამოქალაქო ომი.

ეს გაკვეთილი ცხადათ უჩვენებს მუშათა კლასს: მისი კლასობრივი მტერი, ბურჟუაზია უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლას იწყებს ეროვნული ლოზუნგით, მაგრამ თუ ბედმა უმტყუნა და კლასობრივი მოწინააღმდეგე ვერ ჩაითრია ამ ბრძოლაში, ვერ მოატყუა, მაშინ მზათ არის უღალატოს ერს და მთელი თავისი ძალღონით შეებრძოლოს მუშათა კლასს. ეს ერთი მხრიდან.

მეორე მხრიდან კი მუშათა კლასი იწყებს ბრძოლას კლასობრივი ლოზუნგით ერის მტრის წინააღმდეგ და როცა მას ბედი ღალატობს და ის ვერ ახერხებს ამ ეროვნულ ბრძოლაში ერის სხვა მშრომელი ნაწილებიც ჩაითრიოს, მაშინ იგი იარაღით ხელში, როგორც გმირი, ბრძოლის ველზე ილუპება. აი მუშათა კლასის როგორც ეროვნული ისე კლასობრივი გმირობა!

„ეს ჩვენც ვიცით, ამას ჩვენც ვამბობთ" შემომძახებენ ნაციონალ-ფედერალისტები. დიახ, ამას თქვენც ამბობთ, მაგრამ ის კი არ იცით, რომ კლასობრივი გმირობის შედეგია ეროვნული და არა უკუღმა; კლასობრივი ლოზუნგი, კლასობრივი დროშა მიუძღვის აქ წინ მებრძოლ ლაშქარს და არა ეროვნული! აი რა უნდა დაიხსომოთ კარგათ!

ნაპოლეონის ომების შემდეგ წავიდა ის დრო, როცა ბურჟუაზიულ მთავრობებს, ე. ი. ბურჟუაზიის „აღმასრულებელ კომიტეტებს" ადვილათ შეეძლოთ ეროვნული ლოზუნგით და ყალბი ეროვნული დროშის ქვეშ ერთობლივ დაეყენებინათ სახელმწიფოს [illegible] და ერის ფართე მასსები.

თქვენ შეგიძლიათ ამის წინააღმდეგ წამოაყენოთ და დაასახელოთ ეს უკანასკნელი დიდი მსოფლიო ომის დაწყების ამბავი 1914 წლის აგვისტოში. მაგრამ აქაც უნდა გახსოვდეთ, თუ რა [illegible], რა ხრიკებით და ვისი დახმარებით შესძლო ევროპის ბურჟუაზიამ ამ ომში პროლეტარიატის ჩათრევა.

ამასთან ისიც კარგათ უნდა გაითვალისწინოთ თუ როგორ მალე გამოფხიზლდა პროლეტარიატი რუსეთის გმირი მუშათა კლასის მეთაურობით და როგორი სისწრაფით იწყო მან „სამოქალაქო ზავის" დარღვევა და კიდევ—როგორი საწრაფო ტემპით გაიქანა რუსეთის რევოლიუციური პროლეტარიატი კლასობრივი დროშით შინაური და გარეშე ბურჟუაზიის წინააღმდეგ და როგორი ბრწყინვალე გამარჯვებით შემოსა მან თავისი ერის სახელი!

რ. ტ.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ გამოდის საპარლამენტოდ კლარა ცეტკინი, რომელიც იცავს თავის თავს და გამოთქვამს თავის შეხედულებას. ფაქტები, რომლებიც მე მოვიყვანე პარტიის დისკუსიის დასამტკიცებლად,—ამბობს ის,—მომცეს მე პარტიის რეგი[illegible]. იმათოვის მე პასუხს არ ვაძლევ. მე წინადადებას ვაძლევ ამოიკითხონ, შემოწმონ ისინი. რაც შეეხება ბრალდებას იმაში რომ მე ვიცავ ლევის, ამის შესახებ კამათი მე უსარგებლოდ მიმაჩნია, ვინაიდან ეს ინციდენტი უკვე ამოიწურა კონგრესზე და მე ვემორჩილები მის გადაწყვეტილებას. მაგრამ მე პროტესტს ვაცხადებ იმის წინააღმდეგ, რომ ლევის ინციდენტიდან ცდილობენ „საქმე" შექმნან. ეგებ, მე ვცდები, როგორც ამბობენ, შეცდომა შესაძლებელია, მე უნდა მიმემართა მასებისათვის და მიმეთითებინა მათ მდგომარეობაზე და დამეხსნა შეცდომებისაგან. ამბობენ, რომ მე მიკავია გაურკვეველი, მერყევი პოზიცია. ამხ. რადეკმა მოიყვანა ციტატები ოქმებიდან იმის დასამტკიცებლად, რომ მე ბრალი მიდევს შეტევითი პოლიტიკის თეორიაში. ეს რომც იყოს, მაშინ მე ვიქნები იმ წრეში, რომელშიდაც თვით ამხ. რადეკი. მარტის შფოთებში ის სწერდა „კომუნისტურ ინტერნაციონალში" გერმანიის პარტიისათვის შეტევითი ტაქტიკის აუცილებლობაზე. მე მარტის ამბების წინააღმდეგ სრულებით არ ვიბრძოდი, მთელი ჩემი კრიტიკა მიმართული იყო ამ გამოსვლების შეფასების წინააღმდეგ, როგორც პროლეტარიატის ბურჟუაზიის წინააღმდეგ შეტევის აქტის. ეს ვსთვლიდი და ვსთვლი, რომ საჭიროა მუშების ფართო მასებთან დაკავშირება პროფესიონალურ მოძრაობაში, ფაბრიკებში და ქარხნებში, და პროლეტარიატის მოძრაობის ორგანიზაციური მოზადება და არა თეორიული სპეკულაციის წარმოება. ამხ. ფროლიხი პარლამენტში ადარებდა გერმანიის მდგომარეობას უნგრეთის მდგომარეობასთან საბჭოთა რევოლუციის წინადღით. ამაში მდგომარეობდა უბედურების მიზეზი. ცენტრალურ კომიტეტის შეცდომები მარტის გამოსვლების დროს ყოველს დროს [illegible] შემთხვევითი კი არ იყვნენ შეცდომებად, ისინი გამომდინარეობდნენ იმ არა სწორი თეორიულ შეხედულებიდან, რომელიც გაბატონებული იყო ცენტრალურ კომიტეტში. აქ მე უნდა გავაკეთო ერთი შენიშვნა, რომელიც შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს რუს ამხანაგების აზრს. ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით კრიტიკით პარტიის შიგნით, ჩვენ კავშირი გვაქვს მუშების ფართო მასებთან, და ჩვენთვის წარმოუდგენელია, რომ ჩვენი შეხედულება არ გამოვთქვათ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენს კრიტიკას მოისმენენ ისინიც, ვისაც არ აქვს უკანასკნელი რეგისტრაციის პარტიული წიგნაკი.

[illegible], შესაძლებელია, უფრო ძლიერად უნდა გაესვას ხაზი პროლეტარიატის ნებისყოფის მოქმედების დროს, მაგრამ საქმე სრულებით იმაში არ არის. საქმე ძირითად დებულებებშია, რომელნიც ამხ. ტროცკიმ და რადეკმა მოგვცეს. ისინი იძლევიან ჩვენი მომავალი მუშაობის ძირითად გეზს. და აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეს თეზისები მოგვცეს ჩვენ რუსმა ამხანაგებმა. ე. იმის მაჩვენებელია, რომ ეს თეზისები ანგარიშს უწევენ არა მარტო თეორიას, არამედ რუს ამხანაგების იმ დიდ რევოლუციონურ გამოცდილებას, რომელიც თავის თავად არის [illegible] პრაქტიკაში აქტივობის გამომწვევი უდიდესი სტიმული.

საფრანგეთის დელეგაციის სახელით გამოდის ვაიან კუტურიე, რომელიც აცხადებს, რომ ის საერთოდ იწონებს თეზისებს. შესწორებები, რომელნიც იმას შემოაქვს, ეხება მარტო წვრილმანებს. ის უპირველეს ყოვლისა, ეხება პუნქტს პარლამენტარიზმის შესახებ, რომელიც გარკვეულად უნდა ჩამოყალიბდეს, ისე რომ ორაზროვნობის ადგილი არ უნდა იქნეს. შემდეგ არის კითხვა [illegible] შესახებ. ჩვენს [illegible] უკანასკნელ დრომდე ჩვენ პარტიაში არა ყოფილა მემარცხენე მიმდინარეობები. პირიქით ჩვენს პარტიაში აქვს ადგილი ცენტრისტულ ელემენტებს ვინაიდან იგი გამოვიდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიიდან. ჩვენ ვცდილობდით რომ თეზისები მიმართული ყოფილიყო, უმთავრესად, მემარჯვენეების წინააღმდეგ, მემარცხენეებს კი უნდა მოვეპყროთ, თუმცა სასტიკად, მაგრამ მეგობრულად. ამხ. კუტურიე ეხება საკითხს ფრაქციების შესახებ და გამოსთქვამს სურვილს, რომ ახალშენების საკითხს მეტი ყურადღება ექცეს თეზისებში. ჩვენ დიდი ინტერესი აღვძარით ახლოებულ და შორეულ აღმოსავლეთის ხალხებს შორის, და აუცილებელია, რომ მათ ნამდვილ დახმარებისათვის მივიღოთ ყოველივე საშუალებანი.

მოქმედებების შესათანხმებლად და ერთი მეორის გასაგებათ უკიდურესად საჭიროა მეტი მჭიდრო კონტაქტი საფრანგეთისა და გერმანიის კომუნისტურ პარტიებს შორის.

დასასრულ ამხ. კუტურიე ამბობს, რომ აქამდის ჩვენის მხრით იყო მხოლოდ ნაწილობრივი შეტევა, მაგრამ ეხლა ბურჟუაზიის შემოტევის გამო საფრანგეთის პარტიისათვის დადგა მომენტი, როცა მან უნდა მოიწვიოს ყველა ძალები, როგორც მარცხნიდან, ისე მარჯვნიდან, და სასტიკი დისციპლინით გამობრძმედილი უნდა შეუდგეს პირობებთან შეთანხმებულ მოქმედებას, რომელიც ბრწყინვალედ უნდა დაგვირგვინდეს.

ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელი ამხ. ბელი გამოსთქვამს სწუხარებას იმის გამო, რომ მარტის გამოსვლების შესახებ კამათმა ჩაჩრდილა ბრიტანეთის კომუნისტურ მოძრაობის საკითხი. ამხ. ბელი იმედს გამოსთქვამს, რომ მომხსენებელი თავის უკანასკნელ სიტყვაში მეტ ყურადღებას მიაქცევს ინგლისის საკითხს. ამხ. ბუხარინი ლაპარაკობდა მასიურ პარტიების მოწყობის აუცილებლობაზე. რა არის მასსიური პარტია? ეს ცნება აუცილებლად უნდა იყოს გარკვეული და ნათელი. ინგლისში და ამერიკაში, ამ კლასიკურ კაპიტალიზმის ქვეყნებში, არ არის პროლეტარიატის მასსიური პარტიები. ამ რამოდენიმე წლის წინად იქ იდგა ცენტრის პატარა ჯგუფები, რომლებმაც პროპაგანდის მხრივ ნაყოფიერად იმუშავეს, მაგრამ ვერ მოიპოვეს სასურველი ნიადაგი და დარჩნენ სექტებათ. მაგრამ ეხლა, რევოლუციურ ბრძოლის დროს მარტო პროპაგანდით დაკმაყოფილება შეუძლებელია და ჩვენ დავარქვით ჩვენს პარტიას. ინგლისი კლასიკური კომპრომისების ქვეყანაა. მრავალრიცხოვანი მუშათა პარტია ერთიანად გაჟღენთილია კომპრომისულ პოლიტიკით, როგორც მთელი ლიბერალური ბურჟუაზია. ჩვენ ავირჩიეთ საშუალო ხაზი—სექტანტობისა და ოპორტუნისტების შორის.

აქ ბევრი იყო ნათქვამი სერატიზე, შმერალზე და სხვა ცენტრისტებსა და ოპორტუნისტებზე. იმათი [illegible] მაშინ, როცა პარტია უნდა გამოსულიყო ხელ ჩართულ ბრძოლაში. ჩვენის ფიქრით არ არის საშიშარი დიდი პარტიები, ვინაიდან საქმეში ყოველთვის გამოჩნდება ნამდვილი სახე იმათ, ვინც გადამჭრელ მომენტში წავა მუშათა კლასის წინააღმდეგ.

აქ იყო ნათქვამი, რომ ბრიტანეთის კომუნისტური პარტია პატარაა. მაგრამ საერთოდ ინგლისში არ არსებობს პოლიტიკური პარტიები ამ სიტყვის ნამდვილ მნიშვნელობით. ყველა ინგლისური პოლიტიკური პარტიები წარმოადგენენ საარჩევნო აპარატებს. თითქმის ასეთი მრავალრიცხოვანი პარტია, როგორიც არის დამოუკიდებელი პარტია, რომლის წევრთა რიცხვი 4 [illegible] აღწევს, წარმოადგენს უფრო ორგანიზაციას ზოგიერთ პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხების [illegible]. ბრიტანეთის კომუნისტური პარტია, რომელიც მხოლოდ 3 თვეა რაც არსებობს და უკვე ჰყავს თავის რიგებში ათი ათასამდე კაცი, წარმოადგენს ფრიად საყურადღებო პოლიტიკურ პარტიას, რომლის განვითარება იმის თავდებია, რომ იგი შემდეგშიდაც წავა წინ.

ამხ. ზაკსი (გერმ. მუშ. კომ. პარ.). ყურადღებას აქცევს ლენინის სიტყვებს იმის შესახებ, რომ პატარა პარტიებს შეუძლიათ ძლევა-მოსილი ბრძოლის წარმოება, რასაკვირველია, იმ პირობებში, თუკი ისინი მოიცავენ პროლეტარიატის ფართე მასებს. ყოველ აზრს მოკლებულია რესპუბლიკის და გერმანიის კომუნისტური პარტიების საქციელი, რაიცა გამოიხატება იმაში, ჯერ მრავალრიცხოვან პარტიას შეკრებენ და შემდეგ გამოდიან საქმეში, აქვთ თუ არა რევოლუციონურ გამოსვლის უნარი ისეთ მასსიურ პარტიას. მკვდარი რიცხვები ვერ გადასწყვეტენ საქმეს და ვერ მისცემენ გამარჯვებას. მარტის გამოსვლის შემდეგ აქტიური ელემენტები წავიდნენ, იმათ კი, რომელნიც წინეთ უმოქმედობას იჩენდენ, მიეცათ საშუალება ეთქვათ: ჩვენ მართალი ვიყავით, ასე არ უნდა მოქცეულიყავით.

დასასრულ ამხ. ზაკსი გადასცემს პრეზიდიუმს გერმანიის მუშათა კომუნისტურ პარტიის თეზისებს კომუნისტურ პარტიების ტაქტიკის შესახებ.

კაპიტალიზმის სამეფოებში

ამერიკა

ვაშინგტონის კონფერენცია.

პარიზი. 9 სექ. გაზ. „ტანი" აქვეყნებს პროგრამას ვაშინგტონის კონფერენციისას განიარაღების შესახებ. პროგრამაში შემდეგი საკითხები შედის: 1) აცილება საერთაშორისო შეხლა-შემოხლათა ყველა მიზეზებისა, როგორც აუცილებელი პირობა ნამდვილი განიარაღებისა; 2) განიარაღების პრინციპის გავრცელება, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უარის თქმა მხრჩოლავ გაზებზე, საფრენ აპარატებიდან სროლაზე და სხვ.; 3) „ღია კარების" პრინციპის გამოყენება.

ნიუ-იორკი. 1 სექ. გაზ. „ფილადელფია პუბლიკ ლეჯერი" სწერს: „შეთანხმება 5 მთავარ სახელმწიფოთა შორის საზღვაო შეიარაღების შემცირების შესახებ უფრო მისაწვდომი იქნება, ვინემ შეთანხმება არმიების რაოდენობის შემცირებაზე.

ვინაიდან რუსეთი და გერმანია არ შედიან ხალხთა ლიგაში და მონაწილეობას არ იღებენ განიარაღებულ კონფერენციაში, საეჭვოა საფრანგეთი დათანხმდეს თავისი არმიის ცოტაოდ თუ ბევრად საგრძნობლად შემცირებაზე. შეიძლება ითქვას, რომ რუსეთს ეხლა ჰყავს ყველაზე მეტი ჯარი მსოფლიოში, საკმაოდ ძლიერი იმისათვის, რომ მას ანგარიში გაუწიონ განიარაღების პროექტის განხილვის დროს. თუ გერმანია გაერთიანდებოდა რუსეთთან, მაშინ ატლანტიის ოკეანეს ნაპირებზე მდებარე სახელმწიფოები უფრო მჭიდროდ გაერთიანდებოდნენ, ვინემ ეს დღემდე იყო. ამიტომ ვაშინგტონის კონფერენცია ვერ შესძლებს ყველა ქვეყნების მოთხოვნათა დაკმაყოფილებას. ადრე თუ გვიან მსოფლიოს ყველა ხალხმა უნდა მიიღოს მონაწილეობა საერთო თათბირში, რომ ურთიერთ გაგებას მიაღწიონ.

იტალია

დანტეს გარდაცვალების 600 წლის თავი.

რომი. 16 სექტემბერი. (რადიო). იტალიაში ხდება დღესასწაული დანტეს გარდაცვალების 600 წლის აღსანიშნავად. ფლორენციაში, პოეტის მშობლიურ ქალაქში, რამოდენიმე დღის განმავლობაში გრძელდებოდა საზეიმო დღესასწაული და კრებები. რავენაში ზეიმი გამართულ იქნა დანტეს საფლავზე. საღამოზე რავენში გაიმართა ბანკეტი, რომელზედაც სახალხო განათლების მინისტრმა განაცხადა, რომ იტალიასთან ერთად ამ დღეს დღესასწაულობს მთელი განათლებული კაცობრიობა. იტალიის ყველა ქალაქები მონაწილეობენ დანტეს დღესასწაულში.

პოლონეთი

პოლონეთის შეიარაღება

ბერლინი. 10 სექ. კომუნისტური გაზეთი „როტეფანე" იტყობინება, რომ უკანასკნელ დროს ავსტრიიდან პოლონეთში გამოგზავნილია საგრძნობი რიცხვი საბრძოლო ტრანსპორტისა. შეურყეველი ცნობებით, მხოლოდ ერთი აგვისტოს თვის განმავლობაში პოლონეთში გაგზავნილია 5 მილ. პატრონა, 900 საარტილერიო მასალა, 4,600 000 ჩვეულებრივი ქვეითა პატრონები და სხვ.

სამხედრო მასალა იგზავნებოდა ნაწილობრივ მოკავშირეთა ან ფრანგული მარკით. მასალა იგზავნებოდა კრაკოვსა და ვარშავაში. „როტეფანე" აცხადებს, რომ ამით ავსტრიის მიერ დარღვეულია კოპენჰაგენის ხელშეკრულება და მოუწოდებს ავსტრიის პროლეტარიატს პასუხი მოსთხოვოს თავის მთავრობას.

საფრანგეთი

გაფიცვითი ტალღა საფრანგეთში

მოსკოვი. 19 სექ (რადიო) ბერლინელი გაზეთები იუწყებიან, ჩრდილო-საფრანგეთში გაფიცვების საგრძნობ გაძლიერების შესახებ. ფეიქართა მიმართ სოლიდარობის ნიშნად, გაფიცვა გამოაცხადეს აგრეთვე [illegible] და წყალსადენის მუშებმა. ტრამვაის მოძრაობა კიდევ შეჩერებულია. დახურულია აგრეთვე ბაზრები, კაფე, სასადილოები და საბულკეები. შესაძლებელია გაფიცვა ნორმანდიაში.

ჩინეთი

სამოქალაქო ომი

მოსკოვი. 19 სექ. (რადიო) ჩინეთში განახლდა სამოქალაქო ომი ხუნანის და ხუბეს პროვინციებს შორის.

მენშევიკების ინფორმაცია

ქართველი მენშევიკები თავის ორგანო—„თავისუფ. საქართველო"—ავსებენ თითიდან გამოწოვილ „უტყუარი" ამბებით საბჭოთა საქართველოსა და კომუნისტური პარტიის შესახებ. ასეთსავე ცნობებით კვებავენ ისინი თავიანთ მფარველებს ბურჟუაზიის და ყვითელ სოციალისტების ბანაკიდან.

აი მაგალითად რა ცნობას ათავსებს ლ. მარტოვის ჟურნალი „социалистич. вестник", რომელის ბერლინში გამოდის (№ 8):

„კონსტანტინეპოლში მოვიდა ცნობა, რომ თფილისში მოხდა არჩევნები ადგილობრივ საბჭოში. 95 პროც. დელეგატებით არჩეულ მუშებისა მენშევიკები აღმოჩნდენ..

ქართველთა წრეებში მიღებულია ცნობა იმის შესახებ, რომ რევკომს დაუპატიმრებია და „[illegible]" გამოუცხადებია ოჯახი ამხ. ახმეტელის, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელია ბერლინში"...

აი როგორ იტყუებიან დაკოდილ გულს ქართველი მენშევიკები.

ქრონიკა

✦ **ახლო აღმოსავლეთის დამხმარე ამერიკული დელეგაცია.** ახლო აღმოსავლეთში დახმარების ამერიკულ კომიტეტის დელეგაცია ამ დღეებში დაბრუნდა თბილისში გამგზავრების შემდეგ. 4 დელეგატი ჯონსონის მეთაურობით გაემგზავრა ამერიკაში. თბილისში ამერიკულ კომიტეტის წარმომადგენლებმა მოქალაქე [illegible] საქართველოს დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში განსაკუთრებული ხაზი გაუსვა მოსკოვში საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელთა ამერიკელებთან დამოკიდებულებას: ამერიკულ დელეგაციის წევრებს აღმოუჩინეს ყოველგვარი დახმარება გვალვით დაზარალებულ გუბერნიებში მოგზაურობის დროს.

მეტად დამაკმაყოფილებელი შთაბეჭდილება დასტოვა ამერიკელებზე საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებულმა ყოველგვარი ზომამ ამ გუბერნიებში სიმშილის შედეგების შესამსუბუქებლათ: დამშეულებს განსაკუთრებულ ყურადღებით ეპყრობიან, განსაკუთრებით დიდ მზრუნველობას იჩენს საბჭოთა ხელისუფლება ქალებისა და ბავშვებისადმი. დელეგაციის წევრები, მათ შორის ამერიკაში გაგზავნილ მოხსენებებსა და დეპეშებში მოითხოვენ დაუყოვნებლივ სასწრაფო დახმარებას. დელეგაციის წევრები ამერიკაში დაბრუნებისას, მოსახლეობას შორის აქტიურად აწარმოებენ პროპაგანდას დამშეულთადმი ყოველგვარ დახმარების აღმოჩენისათვის.

✦ **ქალაქის სასაკლაოები.** ქალაქის სასაკლაოთა მუშაობა შესამჩნევათ შემცირდა. ნორმალური დაკვლის—500 მსხვილ რქიან საქონლის მაგივრად დღეში ამჟამათ იკვლება 70 დან 90 მდე. წვრილი საქონელი—150 ის მაგივრად 120—160-მდე. დაკვლის შემცირების ერთი მიზეზთაგანი არის სასაკლაოს გარეშე საქონლის დაკვლა, მისი მოტანა ბაზრის შემამოწმებელ პუნქტებზე გამოკვლევისათვის. ამ მიზეზითვე შემცირდა წარმოება სასაკლაოსთან არსებულ ქარხნებში. ძეხვების ქარხანა გაჩერებულია, სამაგიეროთ საპნის ქარხანა მუშაობს კარგა გამართულად, რადგანაც მისთვის ყოველთვის უხვად მოდის დიდი რიცხვი მკვდარი საქონლისა. ყოველდღიური [illegible] ქვაბისა ადის 60 ფუთამდე.

სამოსწავლო წელი

1921—22 სამოსწავლო წლის სწავლის დაწყება განზრახულია 1 ოქტომბერს, როგორც საშუალო ისე უმაღლეს სასწავლებლებში.

ტარდება ცხოვრებაში საშუალო სკოლის რეფორმა: დაბალი კლასები 5-მდე გამოყოფილი იქნებიან და შეუერთდებიან მთლიანი საშრომო სკოლის პირველ საფეხურებში.

საშუალო სკოლათა 5, 6, 7 და 8 კლასები განაგრძობენ არსებობას და მოქმედებას ძველ პროგრამების სახელწოდებით. [illegible] და გამოცდების მაგიერად ამ წელში შემოღებული იქნება კოლოქვიუმები. ბაზარზე არსებული ყველა სასწავლო წიგნები განათლების კომისარიატის მიერ აღრიცხვაზეა აღებული.

ყოველმა სასწავლებელმა ცნობები უნდა წარადგინოს საჭირო სასწავლო წიგნების შესახებ და ისინი განაწილდება ყველა სასწავლებელთა შორის.

პარტიული ცხოვრება

ს. ქვ. დაძიმითი (ძიმითის თემი)

1921 წ. ავისტოს პირველს შედგა ს. ძიმითის უჯრედის კრება. კრებას ყველა ამხანაგები დაესწრნენ. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. გიორგი მგელაძე, მდივნათ პ. გოგუაძე. განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება მიმდინარე მომენტზე, 2) პარტიული დისციპლინის შესახებ და 3) სისტემატიური მეცადინეობა იაჩეიკაში. მოხსენება თანამედროვე მომენტზე გააკეთა ამხ. მ[illegible] ხინთიბიძემ, რომელმაც ნათლად დაანახა ამხანაგებს დღევანდელი ჩვენი რესპუბლიკის მდგომარეობა და მოუწოდა ამხანაგებს ენერგიულათ მოკიდონ ხელი ეკონომიურ აღორძინების საქმეს.

პარტიული დისციპლინის შესახებ ილაპარაკა ამხ. პ. გოგუაძემ, მან აუხსნა ამხ. თუ როგორი რკინისებური დისციპლინაა საჭირო პარტიაში და თუ როგორ სასტიკათ დაისჯება მისი დამრღვევი პარტიული სასამართლოს წინაშე.

სისტემატიურ მეცადინეობის შესახებ კრებამ ერთხმად დაადგინა კვირაში ერთ დღეს დანიშნული იქნეს დრო სისტემატიურ მეცადინეობისათვის. ამ დღეთ არჩეულია კვირა, საღამოს 4 საათიდან.

ამ დღესვე გავხსენით ადგილობრივი საკითხველი მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის სახელობაზე სადაც აფრიალეთ წითელი, რევოლუციონური დროშა.

კრების თავმჯ. გ. მგელაძე.
მდივანი პ. გოგუაძე.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

მოსავლის პირი.

(ცენტ. სტატისტ. სამმართველოს 15 სექტემბრის ცნობის მიხედვით).

ზუგდიდის მაზრა.

სექტემბრის პირველ რიცხვებიდან განუწყვეტელი წვიმებია, რომელიც ცუდ გავლენას ახდენს სიმინდისა და ვენახებზე. სიმინდის მოსავალი საშუალოა, ღვინის საშუალოზე მეტი.

ცაგერის მაზრა.

სტატისტიკური ბიუროს საანკეტო გამოკვლევათა მიხედვით, პურის მოსავალი საშუალოზე ნაკლებია. დესეტინაზე ანეულის მოსავალი უდრის 24 ფუთს, ახალ დათესილის 23 ფუთს. ქერის მოსავალი საშუალოა. შვრიის მოსავალი საშუალოზე ნაკლები. ყურძნის კარგი, კარტოფილის საშუალო, სიმინდის საშუალოზე ნაკლები. ზოგან შეუდგნენ ანეულის თესვას, მაგრამ მუშაობას ხელს უშლის ხშირი წვიმები. საზაფხულო საძოვარ მთებზე თოვლი დასდო.

სენაკის მაზრა.

სტატისტიკური ბიურო იუწყება: სიმინდის მოსავალს საშუალოზე ნაკლები პირი უჩანს, ყურძენს კარგი. წვიმებია.

ბორჩალოს მაზრა.

ბეგ-სარალის რაიონში სიმინდის მოსავალს კარგი პირი უჩანს. მოსალოდნელია დესეტინიდან 100—300 ფუთამდე.

ახალციხის მაზრა.

ადიგენის რაიონში სიმინდის მოსავალს საშუალო პირი უჩანს, კარტოფილს კარგი. პურის მოსავალი საშუალოზე ნაკლები, ხორბალი საშუალო თვისებისაა. ქერის მოსავალი საშუალოა, მარცვალი კარგი თვისებისაა.

ურავლის საზოგადოებაში. სიმინდი კარგია, კარტოფილი საშუალოზე მცირე, ხილი კარგი, პურის მოსავალი საშუალოზე ნაკლები, ქერის კარგი.

უდეს საზოგადოებაში სიმინდი კარგია, პური ცუდი, ქერი საშუალო, კარტოფილი კარგი.

ნიაღვარმა ზოგ ადგილას დააზარალა ბოსტნები.

გვალვა ისევ გრძელდება.

საქონლის გადაცვლა საქართველოსა და აზერბეიჯანს შორის.

საქართველოს ს. მ. უ. ს. ქიმიურმა განყოფილებამ ხელშეკრულება დასდო აზერბეიჯანთან საპნის, უმაღლეს ხარისხის სუროგატზე გადასაცვლელათ ანგარიშით 1 ფუთ საპონში—4 ნახ. ფ. სუროგატი.

ამ ჟამად ბაქოში იტვირთება 2000 ფ. ნავთ-[illegible], რომელიც აზერბეიჯანის სანავთო კომიტეტმა უფასოთ გადასცა საქართ. ს. მ. უ. საბჭოს, ეს ტვირთი ამ დღეებში ჩამოვა ტფილისში.

კომ. მეურნ. რწმუნებული ამხ. ხოჯაევი ამ დღეებში გაემგზავრება განჯაში აზერბეიჯანის ს. მ. უ. საბჭოს მიერ ჩვენთვის უფასოთ დათმობილი 50 ფუთი შაბის მისაღებათ.

საქართველოს ნავთის წარმოების საჭიროებისათვის ბაქოდან გამოგზავნილია ზოგიერთი დაზგები და იარაღები. დადებულია პირობა 300 ფუთი კაუსტიკური სოდის გადაცვლის შესახებ, რომელიც [illegible] სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ქიმიური განყოფილების მიერ, 20 ათას ფუთ ბამბის თესლზე. სახალხო მეურნეობის ქიმიურ განყოფილებას ნება აქვს [illegible] შეიძინოს ზაქათალის ოლქში 100 ათასი ფუთი ნიგოზი და თხილი აზერბაიჯანის სასურსათო კომისარიატის ხარჯით, და გამოიტანოს საქართველოში, ამის მაგიერად ქიმიური განყოფილება აძლევს აზერბეიჯანის რესპუბლიკის სასურსათო კომისარიატს 10.000 ფუთ ნიგვზის ზეთს.

ამ დღეებში ბაქოში შეუდგებიან 30 ტონიანი გოლანდიური [illegible] დატვირთვას, რომელიც შეძენილია საქართველოს წარმომადგენლების მიერ და ამიაკა, რომელიც გამოგზავნილია საქართველოს სახალხო მეურნ. უმაღლ. საბჭოს ქიმიურ განყოფილებისათვის უფასოთ. ტვირთები მარილ მჟავა, რომელიც მიღებულია საპონში გადაცვლით.

საბჭოთა საქართველო დამშეულთა დასახმარებლად

განათლების სახალხო კომისარიატის საღამო.

30 სექტემბერს გან. სახალ. კომის. მართავს დიდ საღამოს ვოლგის მხრის დამშეულთა სასარგებლოდ სახელმწიფო [illegible] შენობაში. თეატრში დაიდგმება ბლოკის პოემა „თორმეტი"—მუსიკალური ილიუსტრაციებით და დრამატიული ნაწარმოებთა ნაწყვეტებით „შიმშილზე". (ლ. ანდრეევის და ა. ტოლსტოისა). შესრულებული იქნება მთელი რიგი რუსულ-ქართულ სიმღერა-ცეკვა ე. ს. კ. აკადემიურ გუნდის, მსახიობებისა და მუსიკოსების მონაწილეობით, დასასრულ დაიდგმის ცოცხალი სურათი „შიმშილი". საკონცერტო დარბაზში დიდი კონცერტი თბილისის და რუსეთისა სახელმწიფო თეატრების აქ მყოფ მსახიობთა მონაწილეობით.

—

დუშეთის გლეხობის დახმარება

საქართველოს კომპარტიის მიერ [illegible] ჯვარში გამართულ საერთო კრებაზე მოისმინეს ამხ. მ. [illegible] მოხსენება დამშეულთა შესახებ. კრებამ ერთხმათ დაადგინა მოახდინონ მთელი ძალების მობილიზაცია რუსეთის დამშეულ ძმათა დასახმარებლად. ამ მიზნით აირჩიეს კომისია, რომელიც ენერგიულად შეუდგა შეწირულების შეგროვებას. გლეხები თანაგრძნობით ეპყრობიან ვოლგის მხარის დამშეულ გლეხთა უბედურებას და უხვად სწირავენ ფქვილს, ხორბალს, ლობიოს, კარაქს, ყველსა და სხვას. შეგროვილია სურსათის საგრძნობი რაოდენობა. კომისიის მუშაობა გრძელდება.

—

სოფ. ვორონცოვკაში

4 სექტემბერს სოფ. ვორონცოვკაში შედგა „ვოლგის დამშეულთა დახმარების დღე".

ამ ჯგუფთა ნაწილი გაემგზავრა მეზობელ სოფლებში. დღის 2 საათზე სოფლის სხვა ადგილებში გამოჩნდა ურმები, რომლებმაც ჩამოიარეს სახლებში და შეკრიფეს შეწირულებანი. ურმების გამოსვლა ემცნოთ საყვირით—ეს უკრაინულ სოფ. ვარანცოვკაში დაბინავებული წითელ ლაშქრის ცხენოსან ნაწილის მესაყვირენი. მოქალაქენი მხურვალედ გამოეხმაურენ მოწოდებას. ვისაც არ ჰქონდა ნივთი აძლევდნენ ფულს.

შედეგი ასეთია: ფულით შეკრებილია 2 318,468 მანეთი, კარტოფილი—270 ფუთი, ხორბალი 24 ფუთი 22 გირ, ზეთი 3 ფუთი 22 გირვან. ყველი 43 ფუთი 15 გირ. კვერცხი 291 ცალი, ცხვარი 4, [illegible]—168 ფუთი, ქათმები—7, წინდები—76 წყვილი, მატყლი 36 გირვანქა, ცხვრის ტყავი—3 ცალი, თბილი ხალათი, 1, საცვალი ერთ ნახევარი წყვილი, ხელთათმანი 1 წყვილი, ტყავი 1 ფუთი, 1 ფუთი ფეხსაცმლის ტყავი, ფულით ყველა შეგროვილი აღწევს 40 მილიონ მანეთამდე. საღამოთი გარნიზონის თეატრში გაიმართა წარმოდგენა, რომლის შემოსავალიც გადაიდო აგრეთვე დამშეულთა სასარგებლოთ. საერთოდ ამ რაიონში დაბანაკებული რუსის წითელი ლაშქრის ნაწილები ენერგიულად დაეხმარენ აკრეფის მოწყობას.

4 სექტემბერს გაიმართა ვარანცოვკის რაიონის კოოპერატივთა კავშირის ყრილობა. ყრილობამ მოისმინა რა ამხ. [illegible] წინადადება საერთო საზრუნავ თანხიდან დამშეულთა სასარგებლოთ განსაზღვრულ პროცენტის გადადების შესახებ, დაადგინა 4 სექტემბრიდან მიმდინარე წლის ბოლომდე გადაიდოს დამშეულთა სასარგებლოთ კოოპერატივიდან გაყიდულ საქონლის 1 პროც.

—

სოფელ პრიგოლნში.

4 სექტემბერს სოფ. პრიგოლნში შესდგა მოქალაქეთა საერთო კრება, რომელზედაც მოსმენილ იქმნა მოხსენება მიმდინარე მომენტზე და რ. ს. ფ. ს. რ. საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობის შესახებ. მოხსენების იმ ნაწილმა, რომელიც შეეხო ვოლგის დამშეულთა მდგომარეობას, მოახდინა კრებაზე დიდი შთაბეჭდილება. დაადგინეს გადადვან დამშეულთა სასარგებლოდ მოსავლის ყოველ ფუთ ხორბლიდან ორი გირვანქა, ორი გირვანქა კარტოფილი ფუთიდან და ძროხის ორი ნაწველი.

—

ქ. ონი.

ვოლგის დამშეულ სანაჭირო გუბერნიების დახმარებისთვის მუშაობა სწარმოებს მთელ რესპუბლიკაში. ამ საქმეს არც რაჭის მაზრა ჩამორჩა. ეს ერთი კვირა არის რაც სამაზრო პარტკომის ინიციატივით შესდგა დამშეულთა დამხმარე კომიტეტი. სამ სექტემბერს ონს ეწვია ქუთაისის სახელმწიფო თეატრის მსახიობთა დასი ბიქტორ მატარაძის მეთაურობით, რომელმაც სამაზრო პარტკომის წინადადებით გამართა დიდი საღამო ახალ თეატრ „ლამპარში" დამშეულთა სასარგებლოთ. საღამოს შემოსავალი აღის ერთ მილიონ სამას ოთხმოცდა ცამეტი ათას ხუთას მანეთამდე. გასავალი კი არის ორას სამოცდა თექვსმეტი ათას ხუთასი მანეთი. დიდი მადლობის ღირსია დასი, რომელიც ასეთი თანაგრძნობით შეხვდა სამაზრო პარტკომის წინადადებას და მთელი ეს შემოსავალი თანხა ხარჯის გარდა ერთი მილიონი და ას ჩვიდმეტი ათასი მანეთი სრულად გადაეცა დამშეულთა დამხმარე კომიტეტს. სამაზრო პარტკომს სურს, რომ აგიტაციო კვირის საშუალებით გადაიტანოს გლეხთა ფართო მასსაში, ეს დიდი საკითხი დახმარების შესახებ, მან უკვე მიიღო ცნობა ქვემო რაჭის ხვანჭკარის რაიონიდან რაიკომის და რაირევკომისაგან, რომ იქ უკვე შეუდგნენ ამ კვირის ჩატარებას, ფართო მასსა დიდი ენტუზიაზმით შეხვდა, დამშეულთა სასარგებლოთ მოწოდებას; ის მზათ არის გაყოს მისი მოძმის საშველათ უკანასკნელი ქადის ლუკმა და გაიძროს პერანგიც კი. შემთხვევით აღფრთოვანებულია ასეთი მასიური ენტუზიაზმი და ერთსულოვნება, რომელიც მრავალი ტანჯვით და ვებით წელში გატეხილი გლეხი იჩენს ამ დიდ საქმეში.

დ. ნახარაძე.

წარმოებითი პროფკავშირებში

პოლიგრაფიული წარმოების მბეჭდავთა მუშების კონფერენცია.

15 სექტემბერს საღამოს 5 საათზე კონსერვატორიის დარბაზში გაიხსნა ყრილობა პოლიგრაფიულ წარმოების მბეჭდავ. მუშებისა. დელეგატები მოვიდნენ: ქუთაისიდან, ბათომიდან, ფოთიდან, ზუგდიდიდან, თელავიდან, სიღნაღიდან, გორიდან. ყრილობა გახსნა ამხ. იაშვილმა, მიუთითა და უჩვენა მის წარმატება მის ამოცანების გადაჭრაში. ამხ. იაშვილის სიტყვა დაფარა ინტერნაციონალის სიმღერამ. არჩეულ იქმნა პრეზიდიუმი. ერთხმათ არჩეული იქნა 4 კანდიდატი, წამოყენებული კომპარტიისაგან ამხ. ლ. დუმბაძე, ა. იაშვილი, კარპე და გეტმანსკი; კითხვა მეხუთე კანდიდატზე უპარტიოზე დარჩა ღიათ და წინადადება ეძლევა უპარტიოთ ამოირჩიონ ისინი თავის მხრიდან. მდივნებათ აირჩიეს ამხ. [illegible] და ნ. მალანია. არჩეულია სამანდატო კომისია შემადგენლობით ამხ. ბოგდანოვი, მარეტი და ფელცი. ცხადდება შემდეგი დღის წესრიგი: 1) მიმდინარე მომენტი, 2) ცენტრალური მმართველობის მოხსენება; 3) მოხსენებები ადგილებიდან, 4) პოლიგრაფიულ განყოფილების მოხსენება, 5) კავშირების წარმოებითი ამოცანები, 6) ორგანიზაციული კითხვები, 7) ტარიფი და მომარაგება, 8) კულტურულ განმანათლებელი მოქმედება და 9) არჩევნები ცენტრალური მმართველობისა და სარევიზიო კომისიისა. არჩეულ იქნა საპატიო პრეზიდიუმში შემდეგი ამხანაგი: ლენინი, ტროცკი, ზინოვიევი, ცხაკაია და ლოზოვსკი. დაადგინეს გაეგზავნოს მისასალმებელი დეპეშები ამხ. ლენინს, სრულიათ რუსეთის ცენტრალურ პროფესიონალურ საბჭოთა კავშირს, საერთაშორისო პროფესიონალურ კავშირს, კომუნისტურ ინტერნაციონალს, ცენტრალურ კომიტეტს და პოლიგრაფიულ განყოფილებას. სიტყვა ეძლევა ამხ. დუმბაძეს, რომელიც ესალმება 1 ლ დელეგატურ ყრილობას პოლიგრაფიულ წარმოების კავშირებისას, პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სახელით და უსურვებს ყრილობას შექმნას ძლიერი და მაგარი ორგანიზაცია და ბრწყინვალედ შეასრულოს თავისი ამოცანები.

ამხ. დუმბაძის სიტყვას მიეგებნენ მქუხარე ტაშით. შემდეგ საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სახელით ლაპარაკობს ამხ. ორახელაშვილი. ორახელაშვილი მიესალმა რა ყრილობას, გამოთქვამს იმედს, რომ პოლიგრაფიულ წარმოების მბეჭდავ მუშათა კავშირები შესძლებენ გამონახონ თავისი რევოლუციონური ძალღონე და [illegible] ერთად საკუთარ ძალებს მიმართავს საკუთარი წარმოების გაძლიერებლად, რითაც გაძლიერებენ პროლეტარიატის დიქტატურას და აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლებას, რომელსაც მიჰყავართ სოციალიზმამდე. ამხ. ორახელაშვილის სიტყვას ეგებებიან მქუხარე ტაშით და ინტერნაციონალის სიმღერით. ყრილობის სხდომას აცხადებენ დახურულად.

მეორე დღე.

მბეჭდავთა კავშირის ცენტრალური გამგეობის მოქმედების შესახებ მოხსენებით გამოდის ამხ. იაშვილი. მოხსენებიდან ირკვევა, რომ მბეჭდავთა პროფკავშირმა რეორგანიზაციის შემდეგ წარმოებით პრინციპის საფუძველზე, გაერთიანა სამბეჭდაო საქმის შემდეგი დარგები: სტამბები ლითოგრაფიები, [illegible] დაწესებულებები, სტერეოტიპები ცინკოგრაფიები საშტემპელო სახელოსნოები და დამკაზმავი სახელოსნოები. ამას გარდა კავშირში შევიდნენ მის კანცელარიების ყველა მოსამსახურენი, ს. მ. უ. ს. პოლიგრაფიულ განყოფილების შტატი, და აგრეთვე საქართველოს ცენტრ. ბეჭდვითი განყოფილების მოსამსახურენი პოლიგრაფიულ წარმოების დაწესებულებათა ნაციონალიზაცია. ამ წუთში კავშირი აერთიანებს 93 წარმოებას, რომელთა რიცხვი აღწევს 19 [illegible] ლებში საერთო რიცხვი მუშა მოსამსახურეების უდრის 1001-ს.

კავშირის წევრთა რიცხვი საერთოდ აღწევს 1140 კაცს. შემდეგ იაშვილი ახასიათებს რა კავშირის საერთო მდგომარეობას აღნიშნავს, რომ კავშირის გამგეობამ შეასრულა დიდი სამუშაო მით, რომ ყურადღების მაქსიმუმი მიაქცია მან წარმოების ორგანიზაციის და წარმოებაში ნაციონალიზაციის ფართოდ გატარებას და აგრეთვე შრომის ნაყოფიერების აწევას. ცოტაოდენ კამათის შემდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც კავშირის გამგეობის მოქმედება სცნო სავსებით დამაკმაყოფილებლად.

შემდეგ მოისმინეს ამხ. ორახელაშვილის მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ.

—

ქიმიკოსთა და მკვებავთა კავშირში

ქიმიკოსთა და მკვებავთა კავშირის ცენტრალურ მმართველობის სხდომაზე 15 სექტემბერს ამოირჩიეს პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით. თავმჯდომარეთ ამხ. გურული. თავმჯდომარის ამხანაგათ შარიკიანი, პასუხისმგებელ მდივნათ ამხ. ხ. სიროპიანი და ორი წევრი ამხ. კობერიძე და არჩუაძე. შემდეგ ამოირჩიეს კავშირების შემადგენლობა. საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგეთ ამოირჩიეს ამხ. ხ. სიროპიანი, ეკონომიური განყოფილების გამგეთ ამხ. შარიკიანი, კულტურულ-განათლების—ამხ. არჩუაძე, სატარიფო-სანორმო განყოფილების ამხ. გ. კობერიძე, შრომის დაცვის განყოფილების ამხ. [illegible], მომარაგების განყოფილების—ამხ. კალანდაძე და ფინანსიურ განყოფილების კავშირის საქმეთა მმართველით ამხ. ოსიპოვი, ქიმიის განყოფილების კოლეგიის წევრებათ ამოირჩიეს ამხ. ჰანტურია, ჟვანია და ავალოვი. პროფსაბჭოს პლენუმში ამოირჩიეს ამხ. გურული, ხ. სიროპიანი, შარიკიანი, არჩუაძე, ტკაჩენკო და კობერიძე. პლენუმის სხდომები მოხდება ყოველ-თვის პირველ რიცხვებში.

პროვინციაში

ზემო ხეთი (კურია)

21 მარტიდან ა. წ. ალექსანდრე კოტრიკაძის მეთაურობით და ამხ. დავით ნიკოლაიშვილის დახმარებით შესდგა რევკომი, წესიერების დასაცავად, ალაგებს მენშევიკების მიერ დანგრეული ორგანიზაციები ძველი პარტიის წევრების დახმარებით. დაარსდა თემში ოთხი იაჩეიკა; ერთი თვის შემდეგ, რევკომის მეცადინეობით დაარსდა საფოსტო პუნქტი, რომლისათვის დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ მცხოვრებლები. არსებობს სამი სასწავლებელი, სამკითხველო და ფოსტა. სასწავლებელში ბავშვების შეყვანა გახდეს სავალდებულოდ მშობლებისათვის. გამოიწვევს ინჟინერი გზის გაყვანათ საჭირო წინასწარი მუშაობის შესასრულებლათ. იმართება ხშირად „მიტინგი" პარტკომის ხელმძღვანელობით, აგრეთვე წარმოდგენები. 1 ლ ივნისიდან წარმოებს სისტემატიური შაბათობით მუშაობა, რომელშიაც აქტიური მუშა ხალხი, მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ.

შრომით გადიდებულ იქმნა სასწავლებლის ეზო, მოხდა [illegible] შეკეთება, გაიკეთეს ხიდი, რომელთა უქონლობა [illegible] თემის მცხოვრებთ. უკანასკნელად მოეწყო შაბათობა ოთხ ჯგუფად ადგილობრივი გზების შესაკეთებლათ.

მასთან ყოველ კვირაობით იმართება ვარჯიშობა. [illegible] გაზეთები, გლეხებისათვის [illegible], რომ მოიპოვ მიწის [illegible], და მიწაზედ [illegible], რომელიც [illegible] მათ.

ამავე დროს [illegible] ქრივოლებს [illegible] დამშვიდებით.

ხანგამოშვებით აქვს ადგილი ბოლო მენშევიკების პროვოკაციას, რომელიც უშედეგოთ რჩება.

ალე ზემოხეთელი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ბრძანება № 42.

თბილისის და მისი რაიონების რევოლუციონური კომიტეტისა.

კავკასიის განსაკუთრებული არმიის 3 წლის თავის დღეს ქალაქის მორთვის შესახებ.

ყველა სახლის კომიტეტებს, საბჭოთა სახლების კომენდანტებს, სახლის მეპატრონეთ და მცხოვრებთ წინადადება ეძლევათ მორთონ სახლები 21 სექტემბრის დღისათვის. ამ მიზნისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს სახლში არსებული ყველა [illegible], ფერადი მატერიები და დროშები და სხვა. ის სახლები კი, რომელთაც აქვთ ბაღები, მორთულ უნდა იქნეს ყვავილებით, გირლიანდებით და სხვა. საღამოს გამოყენებულ უნდა იყოს ყოველგვარი განათება, ლამპები, მაშხალები და სხვა. ქალაქის მილიციის რაიონულ კომისრებს ევალებათ სასტიკი ყურადღება მიაქციონ ამ ბრძანების შესრულებას და ყოველ ნაირი დახმარება სახლის კომიტეტებს, შენობის კომენდანტებს და კერძო პირებს ბრძანების შესრულებაში.

ქალაქის რევკომის თავმჯდომარე
ა. გეგეჭკორი.

17 სექტემბერი 1921 წ.

ჩვენი ფოსტა

პროვინციის პარტორგანიზაციების პასუხისმგებელ კორესპონდენტებს და პასუხისმგებელ პარტმუშაკთ.

მოგვაწოდეთ კორესპონდენციები მიმდინარე მუშაობის შესახებ პარტიული, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია, სწორი და დასაბუთებული. განდევნეთ კორესპონდენციებიდან ეგრედწოდებული „თეორია" და ფრაზა.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი" ტელ. 1—33.

— მე-2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე 3-ე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ე რაიონის ბიურო—ოლდა ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—52.

— მე 5-თე რაიონის ბიურო—[illegible] ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღება მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

პარტიული

საქ. კომპარტიის თბ. ორგანიზაციის მე 4 რაიკომის პრეზიდიუმი აცნობებს მე-4 რაიკომის კომიტეტების ყველა პასუხისმგებელ მდივნებს და ხელმძღვანელებს, რომ სამშაბათს, საღამოს 6 საათზე მე 4 რაიკომის ბინაზე (ოლდას ქ., 29) შესდგება მე 4 რაიკომის ყველა მდივნების და ხელმძღვანელების თათბირი. ყველას დასწრება სავალდებულოა.

დღის წესრიგი: 1. მოხსენებები ადგილებიდან, 2. მე 4 რაიკომის ბიუროს მიმდინარე საქმეები.

— დღეს 20 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე შედგება განათლების და სოციალისტური კულტურის მუშაკთა კავშირის კომუნისტური ფრაქციის მორიგი სხდომა, [illegible] ქ. 5. პარტიული დისციპლინის წესით ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

ფრაქციის ბიურო.

სხვა და სხვა

— საზოგადო საზრდოების განყოფილება ქ. თბილისის სასურსათო კომიტეტისა ამით აცხადებს, რომ ხუთშაბათს, ენკენისთვის 22-ს, საღამოს 6 საათზე, შედგება საერთო კრება საბჭოთა ყველა სასადილოების გამგეებისა ქალაქის სასურსათო კომიტეტის შენობაში. დასწრება ყველასთვის აუცილებელია.

საზოგადო საზრდოების განყოფილების გამგე ნ. აბგაროვი.

ტირაჟი 10.000 [illegible]